ბავშვის მიმართ ძალადობის
გამოვლენის და მასზე რეაგირების

პრაქტიკული გზამკვლევი

პედაგოგებისთვის

2024

ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენის და მასზე რეაგირების

პრაქტიკული გზამკვლევი

პედაგოგებისთვის

2024

პუბლიკაცია მომზადდა

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიმდინარე პროექტის

„ძალადობის მსხვერპლთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“ ფარგლებში

კანადის თანასწორობის ფონდის მხარდაჭერით

გზამკვლევის შედგენაზე მუშაობდა

ეკატერინე გამახარია

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,

არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

შესავალი

სასწავლო დაწესებულებაში ბავშვის მიმართ ძალადობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევაა, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის კეთილდღეობაზე, მის ფიზიკურ, ემოციურ ჯანმრთელობასა და კოგნიტურ განვითარებაზე. მოსწავლეების მიმართ სკოლებში და ოჯახში ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა იწვევს ძალადობის ობიექტის მხრიდან საგაკვეთილო პროცესის ხშირ გაცდენას, აკადემიური მოსწრების მკვეთრ დაქვეითებას და სწავლის მიტოვებას.

წინამდებარე პრაქტიკული გზამკვლევი განკუთვნილია სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის, კერძოდ, სკოლების, საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების პედაგოგებისა და აღმზრდელებისთვის, რომელთაც ყოველდღიურად უწევთ ბავშვებთან ინტერაქცია და მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის გამოვლენისა და მასზე რეაგირების საქმეში.

ქალთა ფონდი „სოხუმი“ აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან გენდერული და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მათი ცოდნისა და

ინფორმირებულობის გაღრმავების და ძალადობის ფაქტებზე მათი მხრიდან შესაბამისი, დროული და ეფექტიანი რეაგირების გაძლიერების მიმართულებით.

გზამკვლევი მიზნად ისახავს სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ისეთი ინფორმაციისა და ინსტრუმენტების მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობს მათი მხრიდან ბავშვთა მიმართ სკოლასა და ოჯახში განხორციელებული ძალადობის დროულ გამოვლენას და ყოვლისმომცველ, მრავალსექტორულ რეაგირებას.

გზამკვლევში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა:

- ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმები;
- ძალადობის ზეგავლენა ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და მისი გამოვლინებების ფორმები;
- სასწავლო დაწესებულების წარმომადგენელთა როლი ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენის და მასზე რეაგირების საქმეში;
- ძალადობის გამოვლენის და მასზე რეაგირების კონკრეტული სტრატეგიები, ნაბიჯები და რეკომენდაციები;

- საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი ეროვნული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ საგანმანათლებლო სისტემის წარმომადგენელთა მოვალეობებს ბავშვის მიმართ ძალადობის აღსაკვეთად;
- პრაქტიკული რჩევები პედაგოგებს ძალადობაგამოვლილ ბავშვთან საუბრის წარმართვისთვის.

პუბლიკაცია მოამზადა და გამოსცა ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ მიმდინარე პროექტის „ძალადობის მსხვერპლთა ციფრული რესურსცენტრი“[1] ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია კანადის თანასწორობის ფონდის მიერ.

1 „ძალადობის მსხვერპლთა ციფრული რესურსცენტრი“ აერთიანებს ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის/დახმარების ყველა უფასო სერვისის შესახებ დეტალურ ინფორმაციას და სხვა უამრავ თემას, რომელიც ეხება ძალადობაგამოვლილი ქალის გაძლიერებას. იხილეთ - https://sosfsokhumi.ge/

თავი 1.

ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმები და გამოვლინებები[2]

ძალადობა არის ადამიანის კანონით მინიჭებული უფლების შემლახველი, ზიანის მომტანი აქტი, რომლის დროსაც ითრგუნება ადამიანის ნება, ილახება მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება.

ბავშვთა მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემდეგ სახეებს გამოარჩევენ:

- ფიზიკური ძალადობა
- ფსიქოლოგიური ძალადობა
- ეკონომიკური ძალადობა
- სექსუალური ძალადობა
- ბავშვის მოუვლელობა/უგულებელყოფა
- ბულინგი

ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა არის სხეულის მიზნობრივი დაზიანება, ფიზიკური ტკივილის მიყენება ან მუქარა სხეულის დაზიანების შესახებ. გარდა ამისა, ფიზიკურ ძალადობად შესაძლოა განვიხილოთ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

2 ბავშვთა მიმართ ძალადობის გზამკვლევი პედაგოგებისთვის, HumanDoc, 2019, გვ. 8-15, ხელმისაწვდომია - http://humandoc.ge/wp-content/uploads/2021/02/book–for–teachers–HumanDoc.pdf?fbclid=IwAR1HQiUIM6It0qBSoeXI8sGW3MtQbM0alCjqINwmCGhG0–1E7REFfiCX8zc

ფიზიკური ძალადობა შესაძლოა შემდეგი სახით გამოვლინდეს: ***ცემა; წამება; ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, შეჯანჯღარება, ხელის კვრა, კისერზე ხელის მოჭერა, როგორც წინიდან, ასევე უკნიდან პირზე ხელის აფარება.***

ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს **(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 4(ა), 25.05.2006).**

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს **(წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების თაობაზე, 12.09.2016).**

რა გამოვლინებები აქვს ფიზიკურ ძალადობას - რას უნდა მიექცეს ყურადღება?

<u>ბავშვს:</u>

!! აღენიშნება დაზიანებები (დამწვრობა, ნაკბენები, დაბეჟილობები, ნაკაწრები, მოტეხილობები), რომელთა წარმოშობის მიზეზის ახსნა უჭირს;

!! ეშინია მშობლის ან მეურვის;

!! კრთება, როცა მას უახლოვდება ზრდასრული პირი;

!! მის მიერ სხეულის დაზიანებების წარმოშობის მიზეზი დამაჯერებელი არ არის.

- ასევე საყურადღებოა: ბავშვის მოუსვენრობა, ფორიაქი, განდეგილობა, საავადმყოფოში ხშირი მოხვედრა.

<u>მშობელი ან მეურვე:</u>

!! სხეულის დაზიანებებს ხსნის წინააღმდეგობრივად ან არადამაჯერებლად;

!! ბავშვზე საუბრობს უარყოფითად, აგრესიულად, მაგალითად, შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენებით;

!! ბავშვის მიმართ იყენებს მკაცრ, ფიზიკურ დისციპლინას;

!! არის ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი.

ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა: **შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, დაშინება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს.**

ფსიქოლოგიური ძალადობის ტიპს წარმოადგენს სიტყვიერი აგრესია - ბავშვთან მუდმივად ხმამაღლა საუბარი, ყვირილი, შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება, ბავშვისგან შეუძლებლის მოლოდინი და მოთხოვნა.

ფსიქოლოგიური ძალადობის სხვა ფორმები:

- **ბავშვით მანიპულირება -** ერთ-ერთი მშობლის მიერ მეორე მშობლის უარყოფითად, „ბოროტად“ წარმოჩენა ბავშვის წინაშე (ყველაზე ხშირია მშობლების გაყრის პერიოდში);
- **ბავშვში დანაშაულის გრძნობის გამოწვევა -** ბავშვის დადანაშაულება მშობლის არასასურველი ემოციური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;
- **ზედმეტი მზრუნველობა -** ბავშვის ზედმეტი კონტროლისა და მზრუნველობის პირობებში გაზრდა და ჩანერგვა, რომ სამყარო მტრული და საშიშია. აღნიშნული მეთოდი იწვევს უმწეობის შეგრძნებას და არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას.

ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა - ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას **(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 4 (ბ), 25.05.2006).**

რა გამოვლინებები აქვს ფსიქოლოგიურ ძალადობას - რას უნდა მიექცეს ყურადღება?

<u>ბავშვი:</u>

!! ასაკთან შედარებით არაადეკვატურად იქცევა (ან ზედმეტად ჩამოყალიბებულია, ან - ზედმეტად ინფანტილური (ბავშვური);

!! გააჩნია კვებასთან დაკავშირებული პრობლემები (ზედმეტად ჭამს, ძალიან ცოტას ჭამს, ან ხშირად აღებინებს);

!! ემოციური ან ფიზიკური განვითარებით ჩამორჩება;

!! აქვს ენურეზი ან ენკოპრეზი;

!! აქვს თვითდაზიანებისკენ მიდრეკილება;

!! აქვს ძილთან დაკავშირებული პრობლემები (ღამის კოშმარი, ეშინია დასაძინებლად წასვლის);

!! აქვს იპოქონდრია, ისტერიკა, ობსესიები, აკვიატებული აზრები და ფობიები.

<u>მშობელი ან მეურვე:</u>

!! ბავშვს მუდმივად შეურაცხყოფს, საყვედურობს და ადანაშაულებს;

!! არ აინტერესებს ბავშვის პრობლემები;

!! დაუფარავად ხელს ჰკრავს, ან მას ამჯობინებს მეორე ბავშვს.

- ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე რთულად გამოსავლენია. **ბავშვს ხშირ შემთხვევაში ახასიათებს ქცევის მოულოდნელი შეცვლა. მაგალითად, ცელქი ბავშვი უცებ ხდება აპათიური და მოწყენილი.**

ეკონომიკური ძალადობა

ეკონომიკური ძალადობა: ნებისმიერი ის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებებით სარგებლობის, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას (**საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 4(ე), 25.05.2006).**

ეკონომიკური ძალადობა გამოიხატება **ბავშვის ექსპლუატაციაში, რაც შესაძლოა** დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: ა) ბავშვების მათხოვრობა ბ) არასრულწლოვანთა სექსუალური ექსპლუატაცია გ) არასრულწლოვანთა შრომითი ექსპლუატაცია.

ეკონომიკური ძალადობა

ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დაცვა

1. დაუშვებელია ბავშვის ეკონომიკური ექსპლუატაცია, ანუ ფულადი ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით ბავშვის იძულება რაიმე მოქმედების შესასრულებლად ან მომსახურების გასაწევად, მისი მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება, ორგანოს ამოღება ან ბავშვის სხვაგვარი გამოყენება იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, წაქეზებით, მასზე გავლენის სხვაგვარად მოხდენით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით;

2. აკრძალულია მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე ბავშვის დაყოლიება იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, წაქეზებით, მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამოყენებით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით;

3. დაუშვებელია ბავშვის იძულება, წაქეზება, დაყოლიება ან გამოყენება ისეთი სამუშაოს შესასრულებლად ან მისი ისეთი სამუშაოს შესრულებაში ჩაბმა, რომელიც მას ხელს უშლის განათლების მიღებაში, ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური ან/და სოციალური განვითარებისთვის;
4. სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დასაცავად **(წყარო: ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 55, 20.09.2019);**

იძულება - ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, მათ შორის, იძულებითი ქორწინება, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა ან/და თანამონაწილეობა, ნივთიერებათა ავად მოხმარება, მოწყალების თხოვნა, აგრეთვე ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას. იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომის შედეგად მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისება **(წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების თაობაზე, მუხლი 3 (თ.ე) 12.09.2016).**

რა გამოვლინებები აქვს ბავშვის ექსპლუატაციას - რას უნდა მიექცეს ყურადღება?[3]

<u>ბავშვი:</u>

- ✓ დიდი სიხშირით აცდენს სკოლას;
- ✓ შემჩნეულია ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებაში;
- ✓ გვიანობამდე ან ღამის საათებშია გარეთ;
- ✓ აქვს აუხსნელი საჩუქრები/ახალი ნივთები;
- ✓ ხასიათდება შეუსაბამო ან სექსუალური ქცევით;
- ✓ მეგობრობს ან ურთიერთობს უფროსებთან;
- ✓ გათიშული ან იზოლირებულია, მიდრეკილია თვითდაზიანებისკენ, გაუარესებული აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობა და ა.შ.;
- ✓ ხშირად მოდის სხეულზე აუხსნელი დაზიანებებით;
- ✓ ბავშვი ფლობს მეორე მობილურ ტელეფონს, საიდანაც დიდი სიხშირით იღებს ზარებს, რის შემდეგაც სასწრაფოდ სადღაც გადის.

სექსუალური ძალადობა

სექსუალური ძალადობა ბავშვზე[4] არის ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და/ან გამორჩენის მიზნით, რაც მოიცავს: სექსუალური მეტყველე-

---

3 ბავშვის ექსპლუატაცია, გამაფრთხილებელი ნიშნები, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე - https://www.newham.gov.uk/children-families/child-exploitation/2

4 საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, „სექსუალური ძალადობა ბავშვზე“, ხელმისაწვდომია - https://phf.org.ge/ka/resources/seqsualuri-dzaladoba-bavshvze/

ბით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, ეროტიულ ალერსს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვას ან ხელშეწყობას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა.

სექსუალური ძალადობა

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ **(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 4 (დ), 25.05.2006)**;

სექსუალური ძალადობა - ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ასევე სრულწლოვანის მიერ წინასწარი შეცნობით 16 წლამდე ბავშვთან ძალადობის გარეშე სქესობრივი კავშირი, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ **(წყარო: საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების თაობაზე, მუხლი 3 (თ.ბ) 12.09.2016).**

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს. **სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ არა.** მოზრდილს, ჯერ ერთი, იოლად შეუძლია ბავშვზე ზეგავლენის მოხდენა და მეორე, ბავშვს არ შეუძლია ამ ქმედებათა მნიშვნელობის გაგება, მათი შეფასება. გარდა ამისა, მოძალადე თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად მიმართავს მუქარას ან შანტაჟს. ბავშვისთვის ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმაა.

სექსუალური ძალადობა შეიძლება მოხდეს ოჯახს გარეთ ან ოჯახში. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკის ბავშვი, როგორც გოგონა, ასევე ბიჭი. ხშირ შემთხვევაში ოჯახს გარეთ სექსუალური ძალადობა გაუპატიურების სახით ხდება, ფიზიკური თავდასხმით და მუქარით. ამგვარი ძალადობის მსხვერპლი უმეტესად მოზარდია. ოჯახში სექსუალურ ძალადობას ქრონიკული ხასიათი აქვს, ზოგჯერ წლების მანძილზე გრძელდება, ბავშვის ჩათრევა ამ ქმედებებში თანდათანობით ხდება, მსხვერპლი უფრო მცირე ასაკისაა, ვიდრე ოჯახს გარეთ ძალადობის შემთხვევაში.

სექსუალური ძალადობა - რას უნდა მიექცეს ყურადღება?[5]

<u>ბავშვი:</u>

- !! ავლენს ასაკისთვის შეუფერებელ სექსუალურ ქცევებს (აღგზნებულია და ბევრს ლაპარაკობს სექსზე);
- !! არის განდეგილი, დეპრესიული, ინფანტილური, შეენიშნება თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემა;

5 ბავშვთა მიმართ ძალადობის გზამკვლევი პედაგოგებისთვის, HumanDoc, 2019, გვ. 14-15, ხელმისაწვდომია - http://humandoc.ge/wp-content/uploads/2021/02/book–for–teachers–HumanDoc.pdf?fbclid=IwAR1HQiUIM6lt0qBSoeXl8sGW3MtQbM0alCjqlNwmCGhG0–1E7REFfiCX8zc

!! სხვების თანდასწრებით ტანსაცმლის გამოცვლაზე უარს ამბობს (მაგალითად, ფიზკულტურის გაკვეთილზე);

!! იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკს;

!! მკვეთრად დაქვეითებულია მისი აკადემიური მოსწრება;

!! უძნელდება სიარული ან ჯდომა, ინტიმური ადგილების ტკივილის გამო;

!! ორსულადაა, ან აქვს ვენერიული დაავადება;

!! იპარება, ან ცდილობს სახლიდან გაპარვას;

!! ტრაბახობს ფულით ან ნივთებით მოულოდნელად დასაჩუქრების გამო.

- ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები თავისთავად არ გულისხმობს, რომ ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია, თუმცა ისინი სასიგნალოა და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

<u>მოძალადე[6]</u>

ბავშვთან სექსუალური კონტაქტის დამყარებას ცდილობენ პედოფილები ანუ სექსუალური გადახრების მქონე პირები. მოძალადეთა შორის არიან ახალგაზრდები, რომლებსაც არ შესწევთ სრულყოფილი სექსუალური კონტაქტის უნარი. არიან მოხუცებიც, იზოლირებული, მარტოხელა ადამიანები, რომლებსაც ნორმალური სქესობრივი აქტივობისთვის პირობები არ აქვთ. არიან ასოციალური პიროვნებებიც, რომლებსაც ზრდასრულ ადამიანებთან მათთვის დამაკმაყოფილებე-

6 საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, „სექსუალური ძალადობა ბავშვზე“, ხელმისაწვდომია - https://phf.org.ge/ka/resources/seqsualuri-dzaladoba-bavshvze/

ლი ურთიერთობების დამყარება არ შეუძლიათ. მოძალადეთა შორის ის ადამიანებიც არიან, რომლებიც ბავშვობაში თვითონ იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი.

მოძალადე შეიძლება იყოს (თუმცა, აუცილებელი არაა) ადამიანი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს:

- !! არაბუნებრივი ლტოლვა აქვს, ბევრი დრო გაატაროს ბავშვებთან;
- !! ბავშვებთან ფიზიკური სიახლოვისას (მაგალითად, თამაშის დროს) არღვევს მიღებულ ნორმებს;
- !! თუ ოჯახის წევრია, ზედმეტად მზრუნველია ბავშვის მიმართ და უზღუდავს მას თანატოლებთან ურთიერთობას;
- !! წარსულში ჰქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც, შესაძლოა, სექსუალურ ძალადობასთან იყოს დაკავშირებული;
- !! ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო;
- !! მოიხმარს პორნოგრაფიულ მასალას;
- !! ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მომხმარებელია.

სექსუალურ აქტივობაზე ბავშვის დაყოლიების სტადიები

მოძალადე, როგორც წესი, ბავშვს სექსუალურ ქმედებებში თანამონაწილეობისაკენ უბიძგებს საჩუქრების დახმარებით, განსაკუთრებით ალერსიანი და ყურადღებიანი ქცევით. შემდეგ ის მოტყუების, დაშინების, შანტაჟის, მოსყიდვის გზით ბავშვისგან მათი „განსაკუთრებული ურთიერთობის“ საიდუმლოდ შენახვას მოითხოვს.

- ***გასაიდუმლოება*** - ბავშვისაგან მოტყუების, შანტაჟის, მოსყიდვის გზით მოძალადე ითხოვს მისგან „განსაკუთრებული“ ურთიერთობის საიდუმლოდ შენახვას;
- ***უძლურება*** - ბავშვს არ შეუძლია მოვლენათა შეჩერება, რადგან ძალაუფლება მოძალადის ხელშია;
- ***შეგუება*** - ბავშვი ვერ პოულობს გამოსავალს და ცდილობს, ფსიქოლოგიურად შეეგუოს სიტუაციას;
- ***აღიარების*** მცდელობა - ბავშვი ცდილობს, ახლობელ უფროსს უთხრას მომხდარის შესახებ, მაგრამ მისი არ სჯერათ; ხშირად აღიარება შემთხვევით ხდება: ან მოძალადე მიდის და ბავშვი თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ან ინიციატორებად ბავშვის მეგობრის მშობლები გვევლინებიან;
- ***უკანდახევა*** - აღიარების შემდეგ ბავშვი მოზრდილების ან სხვა გარემოებების გავლენით უარყოფს თავისივე ნათქვამს.

სექსუალური ძალადობის გავლენა ბავშვზე

ზოგადად, სექსუალური ძალადობა უშუალოდ არღვევს „სხეულის საზღვრებს“. ამიტომ მისი შედეგები სხეულის ქცევაში ჩანს. ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სხეულს განსაკუთრებულად მალავს და ნებისმიერ კონტაქტს გაურბის. ზოგი - პირიქით, საკუთარი სხეულის დემონსტრირებას ღიად ცდილობს და ყველას სთავაზობს საკუთარ სხეულს, სხეულის ნორმალურ საზღვრებს კარგავს, ფიზიკური სიახლოვისა და დისტანციის სოციალურად მიღებული ნორმების ათვისება არ შეუძლია.

ბავშვები და მოზარდები სექსუალურ ძალადობაზე რეაქციას სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარად ავლენენ.

ბავშვები 3 წლამდე: შიშები, გრძნობების ქაოსი, ძილის დარღვევა, მადის დაკარგვა, უცხო ადამიანების მიმართ შიში, სექსუალური თამაშები.

სკოლამდელები: შფოთვა, გრძნობების ქაოსი, ბრალეულობა, სირცხვილი, ზიზღი, უმწეობა, საკუთარი „გაფუჭებულობის“ განცდა; ქცევის დარღვევები - რეგრესი, აგრესია, მასტურბაცია, გაუცხოება, სექსუალური თამაშები.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები: უფროსების მიმართ წინააღმდეგობრივი გრძნობები, ოჯახური როლების განსაზღვრის სირთულეები, შიში, სირცხვილის, ზიზღის გრძნობები, საკუთარი „გაფუჭებულობის“ შეგრძნება, სამყაროს მიმართ უნდობლობა; ქცევაში შეინიშნება განმარტოება, აგრესია, დუმილი ან მოულოდნელი ალაპარაკება, ძილის დარღვევა, „ბინძური სხეულის“ შეგრძნება, სექსუალური ქცევები სხვა ბავშვებთან.

მოზარდები: დეპრესიული მდგომარეობა, დანაკარგის განცდა; ქცევაში - იზოლაცია, სხვა ბავშვებით მანიპულირება სექსუალური სიამოვნების მიღების მიზნით, წინააღმდეგობრივი ქცევა.

!! გაითვალისწინეთ: ყველაფერი, რასაც ბავშვი მომხდართან დაკავშირებით განიცდის და გამოხატავს, მისი სულისა და სხეულის ნორმალური რეაქციაა განსაკუთრებულად მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის პასუხად.

ბავშვის უგულებელყოფა

ბავშვისთვის აუცილებელი ემოციების და მატერიალური საჭიროებების მოკლება მშობლისგან ან მეურვისგან. მაგალითად, ბავშვი ვერ იღებს სათანადო საკვებს, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს, სამედიცინო დახმარებას, უსაფრთხოებას.

ძალადობის აღნიშნულმა სახემ, შესაძლოა, მიიღოს შემდეგი ფორმები:

- **ფიზიკური მოუვლელობა:** ბავშვისთვის აუცილებელი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა; საკვები, მოვლა, ჰიგიენა, დასვენება;
- **საკვების არასრულფასოვნება -** შიმშილი, არასაკმარისი რაოდენობის საკვების მიწოდება. ეს შესაძლოა გამოვლინდეს ბავშვის მცირე წონაში, თავისა და მუცლის ტკივილში, გრძნობის დაკარგვაში;
- **ჯანმრთელობის უგულებელყოფა -** ბავშვის ჯანმრთელობაზე არასათანადო ზრუნვა ან მისი სრული უგულებელყოფა, ექიმების რეკომენდაციების უგულებელყოფა და ბავშვის ავადმყოფობისადმი უყურადღებობა;
- **განათლების უგულებელყოფა -** ბავშვი არ ასრულებს საშინაო დავალებებს, არ არის მზად გაკვეთილებისთვის და ყველაზე უარესი - არ დადის სკოლაში;
- **ბავშვის მოუვლელობა -** ბავშვის პრობლემების უგულებელყოფა, მისი ინტერესებისა და საჭიროებების არცოდნა, ბავშვის მიტოვება და თვითნებურად მიშვება;
- **ემოციური მოუვლელობა -** ბავშვის ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა; სიყვარულის, სიახლოვის, გრძნობების და ფიზიკური კონტაქტის ნაკლებობა.

უგულებელყოფა

არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა – მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე **(წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 4 (ე[1]), 25.05.2006).**

ბავშვის მოუვლელობა/უგულებელყოფა - რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება

<u>ბავშვი:</u>

!! ხშირად აცდენს სკოლას ან საბავშვო ბაღს;

!! მათხოვრობს, ან მეგობრებს/თანაკლასელებს/ნაცნობებს ფულსა და საჭმელს ჰპარავს;

!! არ იღებს აუცილებელ სამედიცინო დახმარებას, არ უტარდება აცრები, არ ატარებს სათვალეებს (საჭიროების შემთხვევაში) და ა.შ.;

!! ხშირად დაუბანელია და არასასიამოვნო სუნი ასდის;

!! ხშირად აცვია ამინდის შეუსაბამოდ;

!! ამბობს, რომ სახლში არავინ ზრუნავს მასზე.

<u>მშობელი ან მეურვე:</u>

!! არ არის დაინტერესებული ბავშვის ბედით;

!! აპათიურია და ღრმა დეპრესიაშია;

!! ხშირად არ მოდის შეთანხმებულ შეხვედრაზე (ბაღში ან სკოლაში);

!! იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს.

ბულინგი[7]

ტერმინი *ბულინგი* (ინგ. Bullying) დაშინებას, ჩაგვრას, დატერორებას ნიშნავს. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც წინასწარგანზრახული, განმეორებადი აგრესიული ქმედება, რომელიც მიმართულია სხვათა საზიანოდ. მას ყოველთვის ჰყავს სამიზნე, რომელზედაც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ძალის დემონსტრირებას ცდილობს.

ბულინგისათვის დამახასიათებელი ქცევებია: დამამცირებელი ზედმეტი სახელების დარქმევა, დაცინვა, ჯგუფიდან გარიყვა, უცენზურო სიტყვების დაწერა, ნივთების ან ფორმის წარ-

7 ანა ჯალაბაძე, InterMedia, ხელმისაწვდომია - https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/57332-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/167/

თმევა, წერილობითი და სიტყვიერი შეურაცხყოფა, საერთო საქმიანობიდან გარიყვა, მუქარა, დაშინება, ხელის კვრა, მუშტებით ან ფეხით ცემა, ცილისწამება, მსხვერპლის უხერხულ, არაკომფორტულ მდგომარეობაში ჩაგდება, იძულება, რომ იმოქმედოს საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.

გამოყოფენ ბულინგის შემდეგ ტიპებს:

ფიზიკური (დარტყმა, ხელის ან წიხლის კვრა, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება და ა.შ.);

ვერბალური (დამცინავი სახელით მიმართვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჰომოფობიური და რასისტული გამონათქვამები);

ფარული/შენიღბული ბულინგი (რთული მისახვედრია, როდის ხორციელდება; მოძალადე „ჩაგრული" პერსონის ზურგს უკან მოქმედებს, რათა საფრთხე შეუქმნას მის რეპუტაციას და დაამციროს საზოგადოების წინაშე);

კიბერბულინგი (ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარული ან აშკარა დაშინების მიზნით განხორციელებული ქმედება. „კიბერბულინგში" მოიაზრება: სოციალურ ქსელებში შეურაცხმყოფელი ფოტოს ან ვიდეოს განთავსება, უხამსი ჭორების გავრცელება, მავნე მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სხვათა სახელით გვერდებისა და ანგარიშების შექმნა).

<u>მოძალადის</u> მახასიათებლები:

- უყვარს სხვებზე ბატონობა;
- არის იმპულსური და ადვილად ბრაზდება;
- არის აგრესიული და გამომწვევად იქცევა;
- მსხვერპლის მიმართ არ განიცდის თანაგრძნობას.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვის ემოციური და ქცევითი მახასიათებლები:

- აქვს ძილთან და კვებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ხშირად ტირის და შფოთავს;
- ადვილად ეცვლება განწყობა;
- დილით ცუდ ხასიათზე იღვიძებს;
- არაადეკვატურად იქცევა;
- გამუდმებით „კარგავს“ ფულს, ან იწყებს მოპარვას.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვის ფიზიკური მახასიათებლები:

- აქვს აუხსნელი სისხლჩაქცევები, ნაკაწრები და სხეულზე არსებული სხვა იარები;
- სახლში დაზიანებული ნივთებით და დახეული ტანსაცმლით ბრუნდება;
- მშიერი მიდის სახლში.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვის მახასიათებლები, რომლებიც სკოლას უკავშირდება:

- არ უნდა სკოლაში სიარული;
- სკოლაში წასვლისას იცვლის მარშრუტს და სხვადასხვა გზით მიდის „დანიშნულების ადგილამდე“;
- სკოლაში წასვლის ეშინია;
- საგრძნობლად უარესდება აკადემიური მოსწრება.

თავი 2.

სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენელთა როლი ბავშვის მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის გამოვლენის და მასზე რეაგირების საქმეში

პედაგოგების როლი ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის გამოვლენის და აღკვეთის საქმეში

პრაქტიკულად ყველა ბაღსა თუ სკოლაში არის ბავშვი, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლია. ოჯახში ძალადობა, იმის მიუხედავად, პირდაპირ ხორციელდება იგი ბავშვის მიმართ თუ არა, მის ქცევაში მრავალგვარად გამოიხატება. აქედან გამომდინარე, სასწავლო დაწესებულების თანამშრომლებს, რომლებსაც სხვა დაწესებულებებთან თუ სერვისებთან შედარებით ბავშვებთან ყველაზე ხშირი კონტაქტი აქვთ, ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებისა და პრევენციისთვის საუკეთესო შესაძლებლობა გააჩნიათ.

უფრო მეტიც, **მასწავლებლის ვალდებულება მოიცავს ძალადობისგან არა მხოლოდ ბავშვების დაცვას, არამედ - ქალების ან სხვა ოჯახში ძალადობის მსხვერპლების უსაფრთხოებაზე ზრუნვასაც.** მასწავლებელი ვალდებულია, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება[8].

---

8 ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 08.04.2005, მუხლი 20[1], ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=104

გაითვალისწინეთ, რომ სასწავლო დაწესებულების თანამშრომლებს დროული და შესაბამისი მოქმედებებით შეუძლიათ, აარიდონ ბავშვები ძალადობრივ გარემოს, შეწყვიტონ ძალადობის ციკლი მათ ცხოვრებაში და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ბავშვების კეთილდღეობის საქმეში.

ბავშვთა დაცვის რეფერირების მოქმედი მექანიზმი სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის საბავშვო ბაღისა და სკოლის თანამშრომლებს (როგორც საჯარო, ასევე კერძო) პასუხისმგებლობას აკისრებს, გამოავლინონ ბავშვების მიმართ/ოჯახში ძალადობა და მიიღონ შესაბამისი საპასუხო ზომები.

➢ *მიმართვიანობის ვალდებულება*

2016 წელს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის №437 დადგენილებით[9] (შემდგომში: მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები) განისაზღვრა **საბავშვო ბაღებისა და სკოლების *მიმართვიანობის ვალდებულება*** ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, კერძოდ კი:

მუხლი 5 (10): საბავშვო ბაღები, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მანდატურის სამსახური, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები, თავშესაფრები, მათი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილნი არიან, რეფერირების პროცედურების ფარგლებში

9 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0

ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას, ადგილზე გააანალიზონ შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში უზრუნველყონ სააგენტოს და პოლიციის ინფორმირება.

ამ პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტები ვალდებულნი არიან, სააგენტოსთან თანამშრომლობით აწარმოონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა, მათი კომპეტენციის ფარგლებში **(მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები).**

➢ *ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა*

მუხლი 6 (1,2): ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ამ რეფერირების პროცედურების მე-5 მუხლით განსაზღვრულ ყველა დაწესებულებასა და ორგანოს, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება;

მათ შორის: **საბავშვო ბაღები, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მანდატურის სამსახური, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები (მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები).**

მუხლი 14[1] (1) არასრულწლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იდენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებებს, **სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს**, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე ბავ-

შვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს (**წყარო: საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, 25.05.2006**).

➢ ***ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის ეჭვის გაჩენის ფაქტორები:***

მუხლი 6 (4): ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე, შესაძლოა, მიუთითებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი:

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკაწრები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები);

ბ) ბავშვი იქცევა საეჭვოდ (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი და სხვ.);

გ) ბავშვი არ დადის ან/და არარეგულარულად დადის საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) ბავშვი არ არის რეგისტრირებული, ან ბავშვს არ აქვს დაბადების მოწმობა, აგრეთვე არ არის პედიატრის/ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;

ე) ბავშვი მოუვლელია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნული იერ-სახე - უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭყიანი ან/და სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკვებება საჭმლის ნარჩენებით;

ვ) ასაკის შეუფერებლად დროს ატარებს უმეთვალყურეოდ, საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ცხოვრობს ბავშვთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;

ზ) ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას;

თ) ბავშვი გამოყენებულია და ჩაბმულია მისი ასაკისათვის შეუფერებელ სამუშაოში ან/და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალებას/მათხოვრობს, არაგონივრულად დიდ დროს ატარებს ქუჩაში);

ი) ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან ერთად ნათესავის ან ახლობლის გარეშე, ან იმყოფება უცხო პირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ან/და უწევს მათ მომსახურებას;

კ) ბავშვის სათამაშოები, საწოლი, ტანისამოსი ან სხვა ნივთები აღმოჩენილია შეუფერებელ ადგილებში (მათ შორის, ქარხანა ან/და სხვ.), ადამიანით ვაჭრობისთვის (ტრეფიკინგისთვის) რისკის შემცველ დაწესებულებებში;

ლ) ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ბავშვზე ძალადობაზე **(მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები).**

➢ *რეაგირების ვალდებულება*

მუხლი 6 (6): ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, **საბავშვო ბაღები, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, მანდატურის სამსახური, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები** ვალდებულნი არიან, შეავსონ ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი, რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით, ფაქსით ან, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, გამოიძახონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სააგენტოს შეატყობინონ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით **(მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები).**

➢ *პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის*

მუხლი 20. ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შე-

სახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა **გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას (მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები).**

მუხლი 172[6]. ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და **ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს შესაბამისი <u>ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით</u>** (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი[10]).

10 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (15.12.1984), ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=544

სკოლის და მანდატურის როლი ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების საქმეში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით განისაზღვრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (შემდგომში - უსაფრთხოების დაცვის წესი)[11], რომლის მიზანია:

ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;

ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;

დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

ე) მანდატურის, მანდატურის სამსახურისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა.

---

11 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია - http://mandaturi.gov.ge/image/data/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/usaprtxoebis%20wesi.pdf

საჯარო და კერძო სკოლები ვალდებულნი არიან, მიიღონ ყველა ზომა სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით.

<u>უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლა ვალდებულია:</u> განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები; მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ჩაუტაროს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, გააცნოს მოსწავლეების, მათი მშობლების და მასწავლებლების დახმარებისთვის არსებული მომსახურებები, მოახდინოს ძალადობის რისკების შეფასება სკოლაში, აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია: ა) ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ; გ) ბულინგის და კიბერბულინგის წინააღმდეგ; დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებასთან დაკავშირებით.

მასწავლებლის როლი ბულინგის პრობლემის გადაჭრაში[12]

სკოლაში ბულინგის შემთხვევების არიდება და აღკვეთა მასწავლებლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა.

მასწავლებლისთვის ბულინგის პრობლემასთან გამკლავების სირთულეები:

12 საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, „მასწავლებლის როლი ბულინგის პრობლემის გადაჭრაში“, ხელმისაწვდომია - https://phf.org.ge/ka/resources/maswavleblis-roli-bulingis-problemis-gadachrashi/

- ბულინგის ამოცნობის პრობლემა. ვერ ანსხვავებენ ბულინგს თამაშით ჩხუბისა (ძიძგილაობა) და ნორმალური კონფლიქტებისგან (უთანხმოება მეგობართა შორის). ხშირად ნამდვილი აგრესია თამაშად მიიჩნევა.
- არცთუ იშვიათად, ბულინგი ბავშვის განვითარების ბუნებრივ, არასაგანგაშო გამოვლინებად მიიჩნევა („გაიზრდება და აღარ გააკეთებს“, „ბიჭები მაინც ბიჭები არიან“, „უბრალოდ, ყურადღებას ნუ მიაქცევ“ და სხვა).
- ბულინგი ხშირად დაფარულია. ბავშვების მხრიდან ბულინგის შემთხვევების დამალვა.
- ბულინგზე რეაგირების შესაბამისი გზების არცოდნა.

დაზარალებული ბავშვის დახმარება

- **მომხდარი ბულინგის განხილვა**

1. ბავშვს საშუალება მიეცით, მოყვეს, რას გრძნობს, რა მოუვიდა. გამოხატეთ თანაგრძნობა და მხარდაჭერა. ერთად გაარკვიეთ, რა მოხდა.
2. ბავშვთან ერთად შეადგინეთ მისი უსაფრთხოების გეგმა:
   - ✓ იმსჯელეთ, როგორ აარიდოს ბავშვმა თავი ანალოგიურ სიტუაციებს;
   - ✓ განსაზღვრეთ, როგორ მოიქცეოდა ბავშვი, ბულინგი რომ გაგრძელებულიყო;
   - ✓ მოელაპარაკეთ იმაზე, თუ ვის შეიძლება ბავშვმა უამბოს, თუ ბულინგი არ შეწყდება;

3. შეეცადეთ, ჩართოთ დაზარალებული ბავშვი საქმიანობაში - ისეთში, სადაც მას თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ექნება. ამით ბავშვს დაეხმარებით თანატოლთა მხარდაჭერის მიღებაში;

4. აუცილებლად ჩართეთ დაზარალებული ბავშვის დასახმარებლად მისთვის მნიშვნელოვანი, სანდო ადამიანები - მეგობარი თანატოლები, საყვარელი მასწავლებლები და სხვები;

5. დააკვირდით, როგორ მიდის ბავშვის საქმეები შემდგომში;

6. საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდით მშობლებს და მოკლედ უამბეთ მომხდარისა და სკოლის მიერ გატარებული ზომების შესახებ.

ბულინგის ინიციატორი ბავშვის დახმარება

მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ დახმარება სჭირდება როგორც ბულინგის მსხვერპლს, ისე ბულინგის ინიციატორ, აგრესორ ბავშვსაც.

- **ბავშვის აგრესიული ქცევა არ უნდა აღიქვათ, როგორც ბავშვური სიცელქე,** რადგან დროული კორექციის არარსებობის შემთხვევაში ეს შეიძლება ცხოვრების სტილად იქცეს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. აგრესიული ქცევის შეცვლა სწორედ ბავშვობის ასაკში შეიძლება.

- **გულახდილად დაელაპარაკეთ ბავშვს და შეეცადეთ, გაარკვიოთ სიტუაცია**, რომელმაც მოახდინა სხვა ბავშვების მიმართ აგრესიული ქცევის პროვოცირება. ზოგჯერ აგრესორებად მშობლისგან, სხვა ბავშვისგან, უფროსი და-ძმისგან ძალადობაგანცდილი ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვა ბავშვზე გადააქვთ.

- **დახმარება მიმართული უნდა იყოს არა დანაშაულის ძიებისა და დასჯისკენ, არამედ ბავშვის აგრესიული ქცევის შეცვლისაკენ სოციალურად მისაღები ქცევით.** ხშირად აგრესორის დასჯით ჩვენ ვერ ვაჩერებთ მას. მნიშვნელოვანია არა დადანაშაულება, არამედ იმის ჩვენება, რომ აგრესორის ქცევაა მიუღებელი და არა თავად ბავშვი.

1. მშვიდად, ნათლად, ბავშვისთვის გასაგებად აღწერეთ მისი ქცევა და უთხარით, ბულინგის რა ფორმაა ეს.
2. მშვიდად აუხსენით აგრესორს, თუ რა გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე მისი ასეთი ქცევა.
3. გაარკვიეთ, რა მოხდა (როგორ ესმის ბავშვს მომხდარი).
4. აუცილებლად უთხარით, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია და შეახსენეთ, როგორ ქცევას ელოდებით მისგან.
5. გააგებინეთ მისი პასუხისმგებლობა და ქცევის შედეგები (შეატყობინებენ მშობლებს, ჩატოვებენ კლასში, გამოუცხადებენ საყვედურს და სხვა).
6. თუ ბავშვი-აგრესორის ქცევის შეჩერებას ვერ ახერხებთ, უკიდურეს შემთხვევაში უნდა ეცადოთ, გადაიყვანოთ სხვა სკოლაში (არა მსხვერპლი, არამედ აგრესორი!).

კარგი მასწავლებელი:

- გაკვეთილზე ზრუნავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე;
- ამჩნევს ბულინგის გამოვლინებებს და სათანადოდ რეაგირებს მათზე;
- ამჩნევს ჯგუფიდან გარიყულ და მოწყენილ ბავშვს;

- არკვევს ბავშვის ასეთი ქცევის ან ემოციის მიზეზებს;
- მხარს უჭერს დაჩაგრულ ბავშვს და ცდილობს ბულინგის შეჩერებას;
- ეხმარება ბავშვს რეაგირების სათანადო საშუალებების პოვნაში, როცა მას ვინმე ჩაგრავს - არ ეუბნება, რომ ბავშვმა უბრალოდ არ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება, ან რომ თავი უნდა დაიცვას და სამაგიერო გადაუხადოს;
- ეხმარება აგრესორ ბავშვს ქცევის შეცვლაში;
- იძლევა სათანადო ქცევის მაგალითს.

რჩევები მასწავლებელს

- გააგებინეთ ბავშვს, რომ თქვენ არავითარ შემთხვევაში არ მოითმენთ მის აგრესიულ ქცევას, მიუხედავად იმისა, თუ ვისკენაა ის მიმართული. დააწესეთ სავსებით კონკრეტული და მკაცრი შეზღუდვები, რომლებსაც მიმართავთ ბულინგის გამეორების შემთხვევაში.
- ასწავლეთ ბავშვს დასახული მიზნების მიღწევის კონსტრუქციული მეთოდები, ამა თუ იმ პრობლემის არაძალადობრივი გზით გადაჭრის წესები და ხერხები. დაამუშავეთ ამგვარი ხერხები თქვენსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მაგალითზე.
- იყავით პოზიტიური ქცევის მაგალითი. თქვენზე დაკვირვებით, ბავშვი გარემომცველებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, გარემომცველთა პატივისცემას ისწავლის. შექმენით სიტუაციათა მოდელები, რომლებიც იმ სიტუაციათა მსგავსი იქნება, სადაც ბავშვმა აგრესია

გამოავლინა. მოახდინეთ პრობლემის გადაჭრის და სასურველი მიზნის მიღწევის სხვა გზების დემონსტრირება, გარემომცველთა მიმართ ფსიქოლოგიური (მუქარა, შეურაცხყოფა) ან ფიზიკური ძალადობის გარეშე.

- გააძლიერეთ კონტროლი ბავშვზე. იყავით მასთან ახლოს, როცა სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობს. წაახალისეთ მისი მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში, თვითშემოქმედების წრეებში, სხვა კლასგარეშე საქმიანობებში. ამგვარი დატვირთვა ხელს შეუწყობს ბავშვის მოჭარბებული ენერგიის ცივილიზებული და სოციალურად უსაფრთხო გზით დახარჯვას და მნიშვნელოვნად შეამცირებს მის აგრესიულობას.
- რთულ შემთხვევებში მიმართეთ სპეციალისტ-ფსიქოლოგს. არსებობს სპეციალური მეთოდიკები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს აგრესიული ქცევის მიზეზების გარკვევაში, აგრეთვე ამ პრობლემების მართვის და რეგულირების სხვადასხვა ხერხის ათვისებაში.

კლასში ბულინგის განხილვა

კლასში ბულინგის შემთხვევების განხილვისას მნიშვნელოვანია „არაბრალდებითი პოზიციის“ დაცვა - არა იმის ძიება, თუ ვინ არის ამ სიტუაციაში დამნაშავე, არამედ იმის გარკვევა, თუ რა მოხდა, რა როლი შეასრულა სიტუაციაში მონაწილე თითოეულმა ბავშვმა. განხილვაში შეიძლება ყველა ბავშვი მონაწილეობდეს - „აგრესორიც“, მსხვერპლიც, დამკვირვებლებიც. მაგრამ, თუ აგრესორს და მსხვერპლს არ სურთ სიტუაციის განხილვაში მონაწილეობა, მას განვიხილავთ მხოლოდ დამკვირვებლებთან ერთად.

განსახილველი საკითხები:

- რა მოხდა (ვთხოვოთ ბავშვებს, გვიამბონ, როგორ აღიქვეს მომხდარი შემთხვევა. მოვისმინოთ ყველა ვერსია)?
- რასთან დაკავშირებით და როგორ დაიწყო ბულინგი?
- რა როლს ასრულებდნენ ის ბავშვები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ ბულინგში?
- როგორ შეიძლებოდა, ბულინგზე დაკვირვებას გავლენა მოეხდინა „აგრესორ“ ბავშვზე?
- რას გრძნობდნენ ბავშვები ბულინგზე დაკვირვების დროს?
- რას გრძნობენ ისინი ამჟამად?
- მათი აზრით, რას გრძნობს ბავშვი, რომელმაც ბულინგი განიცადა?
- რა შეეძლოთ მათ გაეკეთებინათ ბულინგის შესაწყვეტად?
- რა შეუძლიათ გააკეთონ ახლა იმისთვის, რომ დაზარალებულმა ბავშვმა თავი უკეთ იგრძნოს?
- სხვანაირად როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში (სხვადასხვა პოზიციაში - აგრესორის, მსხვერპლის ან დამკვირვებლის)?

ბულინგზე დამკვირვებელ ბავშვებთან საუბარი მათ დაეხმარება, უკეთ გააცნობიერონ, თუ რა მოხდა, როგორი იყო მათი როლი და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო, ასევე, გაითვალისწინონ, როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ბავშვების მხარდაჭერა და წახალისება, რომლებიც ცდილობდნენ ბულინგის შეწყვეტას და მსხვერპლი ბავშვის დახმარებას.

ინფორმირება და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების უზრუნველყოფა

მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს **ფსიქოლოგიური დახმარების მიღება** შეუძლიათ:

ა) მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან სატელეფონო კონსულტაციით;

ბ) მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან ონლაინ კონსულტაციით, ინტერნეტ პორტალის - HTTPS://BEFRIEND.MES.GOV.GE საშუალებით;

გ) მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან კონსულტაციით მობილური სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით **(წყარო: უსაფრთხოების დაცვის წესი, ფსიქოლოგიური დახმარების მიღება: მუხლი 9).**

ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ვალდებულია, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განათავსოს:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – **112;**
- განათლების სამინისტროს ნომერი – **2 200 220;**
- მანდატურის/უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი;
- მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური საკონსულტაციო მომსახურების ცენტრის 24-საათიანი ცხელი ხაზის ნომერი **- 08 00 00 00 88;**
- მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი - **2 200 220 (3025);**
- მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომერი – **2 200 220 (3335);**
- საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – **598 08 30 06, 1481.**

თავი 3.

რჩევები მასწავლებლებს - ძალადობაგამოვლილ ბავშვთან საუბრის წარმართვისთვის [13]

ძალადობაგანცდილ ბავშვთან ურთიერთობა სპეციალურ უნარებს, განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომებს, განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს არა მხოლოდ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის გამოვლენის სირთულის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ბავშვზე ძალადობის შემთხვევები ხშირად დამალულია და ძალადობის ფაქტების გამოვლენა, როგორც წესი, მწვავე რეაქციებს იწვევს. მსგავსი სირთულეები განსაკუთრებით თავს იჩენს მაშინ, თუ ძალადობა ოჯახში ხდება, ან თუ საქმე გვაქვს ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობასთან.

ძალადობაგამოვლილ ბავშვთან საუბრის წარმართვისთვის აუცილებელია უსაფრთხო პირობების შექმნა.

- სასაუბრო ადგილი უნდა იყოს მყუდრო და ქმნიდეს დაცულობის ატმოსფეროს. არ შეიძლება საუბრის წარმართვა ხალხმრავალ და ხმაურიან ადგილას.
- სასურველია, საუბრისას მასწავლებელსა და ბავშვს შორის არ იდგეს საწერი მაგიდა. ასევე, ოთახში იყოს დასალევი წყალი და ხელსახოცები.

13 ბავშვთა მიმართ ძალადობის გზამკვლევი პედაგოგებისთვის, HumanDoc, 2019, გვ. 30-32, ხელმისაწვდომია - http://humandoc.ge/wp-content/uploads/2021/02/book–for–teachers–HumanDoc.pdf?fbclid=IwAR1HQiUIM6It0qBSoeXI8sGW3MtQbM0alCjqINwmCGhG0–1E7REFfiCX8zc

- ბავშვთან გასაუბრება, უმჯობესია, დაიწყოს ნეიტრალური თემით, რომელიც არ უკავშირდება ძალადობას. საუბრის დაწყება შესაძლოა მოხდეს მისი შექებით კარგი ნიშნების, ყოფაქცევის ან ჯილდოების შესახებ. ბავშვთან მის წარმატებაზე საუბრისას შეიძლება ჰკითხოთ მშობლის რეაქციის შესახებ. ურთიერთობის დამყარებისთვის საუბარი დაახლოებით 10 წუთი შეიძლება გაგრძელდეს, რომლის დროსაც მასწავლებელი იღებს ინფორმაციას ბავშვის პიროვნების, მისი ოჯახის, მეგობრების, ინტერესების შესახებ, ისე რომ ბავშვს არაფერს ეკითხება ტრავმის შესახებ. ეს ასევე აჩვენებს ბავშვს, რომ ის ინტერესდება მისით, როგორც პიროვნებით და არა მხოლოდ როგორც ძალადობის მსხვერპლით. ამგვარი ინტერესი დაეხმარება ბავშვს, რომ მასწავლებლის მიმართ ნდობა გაუჩნდეს.
- ინფორმაციის მოსაპოვებლად, სასურველია, ბავშვს დაესვას ღია კითხვები, ანუ კითხვები, რომლებიც ბავშვს თავისუფალი თხრობის საშუალებას აძლევს და იწყება, მაგალითად, შემდეგი კითხვითი სიტყვებით: როდის? რატომ? როგორ? მოერიდეთ დახურულ კითხვას, რომლის პასუხიც იქნება „კი“ ან „არა“.

მნიშვნელოვანია, კონცენტრირდეთ ბავშვთან საუბარზე.

- ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვს;
- დაამყარეთ ბავშვთან მზერითი კონტაქტი;
- ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვის გრძნობების არავერბალურ გამოხატულებებზე (შებოჭილობა, დარდი, სირცხვილი, უხერხულობა და ა.შ.);

- ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვის გრძნობების მიმართ და საუბრისას გამოიყენეთ შემდეგი ფრაზები: მაგალითად, ***„ვხედავ, რომ გერიდება და ეს აბსოლუტურად ბუნებრივია“; „არ მოგერიდოს ტირილი, ეს შეგიმსუბუქებს ტკივილს“; „ადამიანებს ხშირად რცხვენიათ თავსგადახდენილი ამბების გამო, მაგრამ არ უნდა შერცხვეთ“;***
- არ შეეხოთ, ან ჩაეხუტოთ ბავშვს, თუ თავად არ მოგთხოვთ ამას;
- თავი შეიკავეთ ზედმეტი ემოციებისგან და ექსპრესიულობისგან, ამან შესაძლოა ბავშვი დააფრთხოს.
- დაარწმუნეთ ბავშვი, რომ გჯერათ მისი - არ შეეკითხოთ, მართლა მოხდა თუ არა ეს ამბავი!

თავი შეიკავეთ კითხვისგან „რატომ“ - ორი ძირითადი მიზეზის გამო:

- ამგვარ შეკითხვებზე ბავშვმა უმეტესწილად პასუხი არ იცის;
- „რატომ“ შეკითხვები ფარულ დადანაშაულებას შეიცავს („რატომ მალავდი ამ ფაქტს?“) - ბავშვი აღიქვამს, რომ მას რაღაცაში ადანაშაულებენ;
- აუხსენით ბავშვს, რომ მას შეუძლია, არ უპასუხოს კითხვას.

საუბრისას შეეცადეთ, გამოავლინოთ ძირითადი ფაქტები და მოვლენები

- შემთხვევის ადგილი;
- შემთხვევის დეტალური აღწერა და განმეორებადობა;
- გაარკვიეთ, შემთხვევის დროს სად იმყოფებოდნენ ოჯახის დანარჩენი წევრები და თუ არიან მოწმეები;
- ყველაზე მთავარი დეტალები და ფაქტები, უმჯობესია, ჩაიწეროთ მაშინვე, საუბრის შემდეგ.

ძალადობის შესახებ საუბრისას ბავშვმა მასწავლებლისგან უნდა იგრძნოს თანაგრძნობა და მხარდაჭერა:

- აუხსენით ბავშვს, რომ ძალადობა მიუღებელია და არავის აქვს ძალადობის უფლება;
- აუცილებლად აღნიშნეთ ბავშვთან, რომ მომხდარი ძალადობა მისი ბრალი არ არის! ყვირილზე, ცემაზე და „ცუდად შეხებაზე“ პასუხისმგებელია უფროსი.
- აუხსენით, რომ მსგავს მდგომარეობაში ბევრი ბავშვია და მნიშვნელოვანია ამის შესახებ მოყოლა დროული და მისთვის საჭირო დახმარების აღმოსაჩენად.

ბაგა-ბაღებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებში მომუშავე აღმზრდელებისა და მასწავლებლების ტიპიური შეცდომები ბავშვების მიმართ ეჭვის შემთხვევაში[14]

◆ *ძალადობის შეუმჩნევლობა:*

- ელოდება, როცა მოსწავლე ან მშობელი თავად მიმართავს მას;
- დარწმუნებულია, რომ აგრესიული მოსწავლე არ არის ძალადობის მსხვერპლი;
- თვლის, რომ ოჯახში არსებული რთული ფინანსური მდგომარეობა და ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებული ვითარება ბავშვების მიმართ ძალადობის „გამამართლებელი“ ფაქტორია;
- მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის ან ბავშვზე ძალადობის ფაქტი მხოლოდ ოჯახის შიდა საქმეა და არ შეიძლება ჩარევა.

◆ *შეუსაბამო ან უშედეგო დახმარება:*

- ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის შესახებ არ აწვდის ინფორმაციას შესაბამის უწყებას (მაგ., სოციალურ მუშაკს, პოლიციას);
- რეაგირებს მხოლოდ ძალადობის მსხვერპლზე და არა მოძალადეზე;
- არ ამყარებს კონტაქტს ოჯახის წევრებთან და არ ახორციელებს ოჯახში არსებული სიტუაციის მონიტორინგს.

---

14 ბავშვთა მიმართ ძალადობის გზამკვლევი პედაგოგებისთვის, HumanDoc, 2019, ხელმისაწვდომია - http://humandoc.ge/wp-content/uploads/2021/02/book–for–teachers–HumanDoc.pdf?fbclid=IwAR1HQiUIM6It0qBSoeXl8sGW3MtQbM0alCjqlNwmCGhG0–1E7REFfiCX8zc

სასარგებლო ინფორმაცია

ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი: 111

ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი: 006 116

გადაუდებელი დახმარების
(პოლიცია, სასწრაფო) ცხელი ხაზი: 112

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური
საკონსულტაციო მომსახურების ცენტრის
24-საათიანი ცხელი ხაზი: 08 00 00 00 88

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური
მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზი:
2 200 220 (3025)

მანდატურის სამსახურის მონიტორინგის
სამმართველოს ცხელი ხაზი: 2 200 220 (3335)

სახალხო დამცველის ცხელი ხაზი:
1481 (24/7); 598 08 30 06

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბავშვთა მიმართ ძალადობის გზამკვლევი პედაგოგებისთვის, HumanDoc, 2019 - http://humandoc.ge/wp-content/uploads/2021/02/book–for–teachers–HumanDoc.pdf?fbclid=IwAR1HQiUIM6It0qBSoeXI8sGW3MtQbM0alCjqINwmCGhG0–1E7REFfiCX8zc

2. ბავშვის ექსპლუატაცია, გამაფრთხილებელი ნიშნები, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე - https://www.newham.gov.uk/children-families/child-exploitation/2

3. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, „სექსუალური ძალადობა ბავშვზე“, ხელმისაწვდომია - https://phf.org.ge/ka/resources/seqsualuri-dzaladoba-bavshvze/

4. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, „მასწავლებლის როლი ბულინგის პრობლემის გადაჭრაში“, ხელმისაწვდომია - https://phf.org.ge/ka/resources/maswavleblis-roli-bulingis-problemis-gadachrashi/

5. ანა ჯალაბაძე, InterMedia, ხელმისაწვდომია - https://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/57332-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98/167/

6. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 4(ა), 25.05.2006 ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422

7. ბავშვის უფლებათა კოდექსი, 27.09.19, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=6

8. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობა-ზე“, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0

9. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (15.12.1984), ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=544

10. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, 08.04.2005, ხელმისაწვდომია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=104

11. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძა-ნება №06/ნ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ, ხელმისაწ-ვდომია - http://mandaturi.gov.ge/image/data/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/usaprtxoebis%20wesi.pdf

სარჩევი

შესავალი 3

თავი 1

ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმები და გამოვლინებები 6

ფიზიკური ძალადობა 6

ფსიქოლოგიური ძალადობა 9

ეკონომიკური ძალადობა 11

სექსუალური ძალადობა 13

ბავშვის უგულებელყოფა 19

ბულინგი 22

თავი 2

სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენელთა როლი ბავშვის მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის გამოვლენის და მასზე რეაგირების საქმეში 25

პედაგოგების როლი ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის გამოვლენის და აღკვეთის საქმეში 25

სკოლის და მანდატურის როლი ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების საქმეში 32

მასწავლებლის როლი ბულინგის პრობლემის გადაჭრაში 33

თავი 3:

**რჩევები მასწავლებლებს -
ძალადობაგამოვლილ ბავშვთან
საუბრის წარმართვისთვის** 42

სასარგებლო ინფორმაცია 47

გამოყენებული ლიტერატურა 48

ქალთა ფონდი „სოხუმი“

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ
საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com
fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge
www.facebook.com/fsokhumi